ხელშეკრულება № 139
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული 01 სექტემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგებლის რობიზონ გვენეტაძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „ბაბი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი ნიკი კირკიტაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტია: სამეურნეო საქონლის და სარეცხი საშუალებების მოწოდება (შემდგომში „საქონელი").

CVP39200000 - ავეჯეულობა 76 ლარი.

CVP39800000 - საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები 32 ლარილარი.

CVP42900000 - სხვადასხვა ზოგადი და სპეციალური დანიშნულების მანქანა-დანადგარები 55 ლარი.

CVP42100000 - საწარმოო დანადგარები და მექანიკური ენერგიის გამოყენება 103 ლარი.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 266 (ორასსამოცდაექვსი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელის მიწოდების შემდეგ, ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებელი რობიზონ გვენეტაძე.

5. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონელის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ.N49

5.2. საქონელის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

„მიმწოდებელი" ვალდებულია

1)დროულად და მაღალხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

2)დაიცვას „მყიდველის" ფინანსური და კომერციული საიდუმლოებანი,რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მუშაობის პროცესში და არ გახადოს იგი მესამე პირთათვის ხელმისაწვდომი.

„შემყიდველი" ვალდებულია

1)გადაუხადოს „მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური.

მხარეებს უფლება აქვთ ერთმანეთისგან მოითხოვონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 01 სექტემბრიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი“
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი #3
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259.
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ. TRESGE22

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "ბაბი"
ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქN49
საიდენთიფიკაციო კოდი 419620609
ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ.კ. BAGAGE22.
ა.ა. GE76BG0000000225487000

შემსყიდველი

მიმწოდებელი